თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 3

ქ. თელავი 22.07.2021 წელი

თავმჯდომარეობდა: **დავით გოგოშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი; ალექსანდრე შათირიშვილი; ნანა ხვისტანი; აბრამ მახარიაშვილი; ზურაბ ლილუაშვილი; გიგა მამუკელაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საბიუჯეტო განყოფილების უფროსი - **ნინო ჩურხაული.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.
მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილ ცვლილებასთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საბიუჯეტო განყოფილების უფროსს-**ნ. ჩურხაულს.**

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომელი ეხება სოციალური დაცვის პროგრამების წლის ბოლომდე შეუფერხებელ ფუნქციონირებას, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების და სასმელი წყლის ჭაბურღილების მოხმარებული ელ. ენერგიის 2021 წლის ბოლომდე ანაზღაურების უზრუნველყოფას, ასევე ა(ა)იპ „თელავის სატრანსპორტო სამსახურის“-თვის ავტობუსების სამრეცხაოს მოწყობას, შენობის წყალმომარაგების და ელ. ენერგიით მომარაგების უზრუნველყოფას, კომპიუტერების და ელექტრო საქონლის შეძენის მიზნით თანხების მობილიზებას. აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 08 ივლისის N1146 განკარგულებით თელავის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი

ღონისძიებების შესახებ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი - 2747 (ორი ათას შვიდას ორმოცდაშვიდი) ლარის „ ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხების გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი - 26191 (ოცდაექვსი ათას ას ოთხმოცდათერთმეტი) ლარის, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი - 165 (ას სამოცდახუთი) ლარის ჯამიდან, ქ. თელავის N5 საბავშვო ბაღში გათბობის სისტემის საქვაბის შენობის გარეთ გატანის სამუშაოების დასაფინანსებლად, თანხის ასახვაში

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვროს 43003,75 ათ. ლარის ოდენობით. აქედან გამომდინარე მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში 2021 წლის 6 თვის განმავლობაში მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს პროექტთან დაკავშირებით. მათ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ ცვლილებას.

<u>გადაწყვიტეს:</u> ბიუჯეტის ცვლილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე დ. გოგოშვილი